პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 216 (4986)

1 ნოემბერი, ხუთშაბათი. 1973 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვიუწყებოდით, ოჩამჩირეში დამთავრდა საქართველოს პირველობა ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში და აფხაზეთის პირველობა — ეროვნულ და კლასიკურ სახეობებში.

ს უ რ ა თ ზ ე: „ნახტომის სიმძლავრეზე" პრიზის მფლობელი — თბილისელი ნ. ლაბაშია წინაღობის გადალახვისას.

ვ. ხემიონოვის ფოტო.

ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

ტრამპლინი ტაიგაში

კრასნოიარსკის მახლობლად, კაშტაკის მთის ფერდობებზე დაიწყო მონტაჟი საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უდიდესი სათხილამურო ტრამპლინისა, რომლის სიმძლავრეც 100 მეტრია. მშენებლობის დამთავრება გათვალისწინებულია დიდი სპორტული დღესასწაულისთვის, რომელიც ენისეისპირა ქალაქში გაისად ჩატარდება. აქ თავს მოიყრიან რუსეთის საუკეთესო მოთხილამურეები, მოციგურავეები, ბიატლონისტები, ტრამპლინიდან მხტომელები, სლალომისტები და ორჭიდელები, რომლებიც რსფსრ-ს ხალხთა V ზამთრის სპარტაკიადაში მიიღებენ მონაწილეობას.

უკვე შეირჩა ტრასები სათხილამურო რბოლებისთვის, საშთომოთხილამურეებისთვის. მოციგურავეებისთვის სარბიელს აშზადებენ კრასნოიარსკის ლენინური კომკავშირის სახელობის სტადიონზე. აქ გამოყენებულია სპეციალური ტექნიკა: მძლავრი სარწყავ-სარეცხი მანქანები, ყინულის საწმენდი კომბაინი, აგრეგატი წყლის ქიმიური წმენდისთვის. მოციგურავეთა შედეგებს აღნუსხავენ პირველი სამამულო ელექტრული წამმზომით, რომელიც კრასნოიარსკელმა ინჟინრებმა გააკეთეს.

სპარტაკიადისთვის მზადებაში აქტიურად მონაწილეობს ქალაქის სტუდენტობა.

კრასნოიარსკი.

წაიკითხეთ:

მე-2 გვერდზე —

„სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში ასევე მთავარია ნაკრების წევრებისთვის წვრთნის ნორმალური პირობების შექმნა".

მე-4 გვერდზე —

„... თბილისელებს მხოლოდ 9 ქულა აქვთ. მდგომარეობა მართლაც საგანგაშოა. საჭიროა მთელი ძალისა და ნებისყოფის მოკრება, თორემ უმაღლეს ლიგაში თბილისელთა დაბრუნება შეიძლება ხანმოკლე აღმოჩნდეს".

სპორტი პროფკავშირებში

ფეიქართა გამარჯვება

„განთიადის" ცენტრალური საბჭოს სპარტაკიადა დამთავრდა. შედეგები შეჯამდა. საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველა ადგილის ბედი გაირკვა. გამოვლინდა წარმატებები და ხარვეზები პროფკავშირთა დარგობრივი კომიტეტების მასობრივ-ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობაში.

სპარტაკიადამ ცხადყო, რომ სპორტკლუბ „უშბას" და ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ნაკრები გუნდები ამ ასპარეზობისთვის სათანადოდ არ იყვნენ მომზადებული და შესაბამისად 55 და 50 ქულა მოაგროვეს. ეს გუნდები ბოლო — VIII და IX ადგილებზე დარჩნენ. ქვანახშირის მრეწველობის მუშაკები კომპლექსურ ჩათვლაში გამარჯვებულს — საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის კომიტეტის კოლექტივს 98 ქულით ჩამორჩნენ.

სპარტაკიადაში II ადგილი დაიკავა მანქანათმშენებლობის კავშირის გუნდმა (134). III ადგილზე არიან მეტალურგიული მრეწველობის მუშაკები — 117 ქულა.

რესპუბლიკური კომიტეტებისა და სპორტკლუბების გუნდების უთანაბრო მომზადებას ადასტურებს ცალკეულ სახეობებში გამართული შეჯიბრებებიც.

ფრენბურთელთა ტურნირში (გაიმართა ქუთაისში), მაგალითად, მშენებლობისა და საშენმასალათა მრეწველობის, აგრეთვე ხე-ტყის, ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტების ვაჟთა და ქალთა გუნდებმა ვერც ერთი შეხვედრის მოგება ვერ შეძლეს.

მძლეოსანთა პროგრამის ნახევარზე მეტ სახეობებში მონაწილეებმა ჩასათვლელი მეორე თანრიგის ნორმატივი ვერ შეასრულეს. მართალია, მათ ხელი შეუშალა ბათუმის წვიმამაც, მაგრამ ბევრი შედეგი მაინც მეტად დაბალი იყო. „უშბამ", მშენებელთა და ნავთობის მრეწველობის მუშაკთა კავშირებმა გუნდები ვერ გამოიყვანეს.

ზოგიერთ სახეობაში ჩატარებულ შეჯიბრებათა შედეგებზე უკვე ვწერდით, ახლა კი სხვა გამარჯვებულებს გაგაცნობთ.

მაგიდის ჩოგბურთში ჩემპიონი გახდა საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის კავშირის ნაკრები, რომელმაც გადამწყვეტ ბრძოლაში დაამარცხა ქართულ ქვეჯგუფში გამარჯვებული მეტალურგთა კოლექტივი — 3:1. III ადგილისთვის ბრძოლაში „უშბამ" ასეთივე ანგარიშით სძლია მანქანათმშენებელთა ნაკრებს.

ფრენბურთში საპრიზო ადგილებზე გავიდნენ საფეიქრო, მანქანათმშენებლობისა და ელექტრომრეწველობის ქალთა, მანქანათმშენებლობის, ელექტრომრეწველობისა და ნავთობის მრეწველობის პროფკავშირთა კომიტეტების ვაჟთა გუნდები.

ფარიკაობაში შეჯიბრება რუსთავში ჩატარდა. გუნდური ტურნირი მეტალურგიული კავშირის წარმომადგენლებმა მოიგეს. II ადგილი დაიკავა ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის კავშირის გუნდმა, III — საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის კავშირის ნაკრებმა.

პირად შეჯიბრებაში უძლიერესნი იყვნენ: ქალთა შორის — გ. მაჩკალიანი (მეტალურგიული მრეწველობა), რაპირისტ ვაჟთა შორის — ი. ტკაჩუკი (ქიმიური მრეწველობა), ესპადრონისტებში — ი. ბეშკენაძე (მეტალურგიული მრეწველობა), დაშნით მოფარიკავეებში — მ. ძოწენიძე (საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობა).

მძლეოსნობაში გუნდური საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის, ელექტრომრეწველობის, მეტალურგიული მრეწველობის კავშირები.

ველოსიპედისტთა შეჯიბრებას მცხეთა მასპინძლობდა. 25 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში იმარჯვა მსუბუქი მრეწველობის კავშირის გუნდის წევრმა ს. ჩოქურმა — 36.25. II ადგილი ხვდა ვ. კეხბას (მეტალურგიული კავშირი) — 36.49, III — გ. ხითარიშვილს (სპორტკლუბი „განთიადი") — 37.09. 50 კილომეტრზე გუნდურ რბოლაში ყველას აჯობეს ელექტრომრეწველობის წარმომადგენლებმა — 1:11.32. 100 კილომეტრზე ჯგუფურ რბოლაში სამივე პრიზიორმა (ვ. ბოგომოლოვი — მსუბუქი მრეწველობა, ვ. ვარსემაშვილი და ვ. ცვეტკოვი — მეტალურგიული მრეწველობა) ერთნაირი დრო (2:21.35) აჩვენა და მათ შორის ადგილები ამ თანმიმდევრობით განაწილდა.

„განთიადის" სპარტაკიადის შემდეგ დაკომპლექტებული გუნდები საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში ჩაებნენ.

რ. მაღრაძე.

მორიგი ტირაჟი

30 ოქტომბერს პერმში მოეწყო „სპორტლოტოს" და „სპორტლოტო-2"-ის ტირაჟი. გთავაზობთ შედეგებს:

„სპორტლოტო" — 1 (ხვიასპორტი), 14 (ფრენბურთი), 15 (წყალბურთი), 17 (მხატვრული ტანვარჯიში), 29 (საპარაშუტო სპორტი), 47 (ბურთიანი ჰოკეი).

„სპორტლოტო-2" — 12 (წყალსამოტორო სპორტი), 13 (წყალსათხილამურო სპორტი), 19 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 22 (ციგურაობა), 26 (მოტობურთი), 42 (ძალოსნობა).

რაიონებში სპორტსმენები

✦ თერჯოლა

გაიმართა რაიონის პირველობა საშუალო სკოლების ფეხბურთელთა გუნდებს შორის. ყველას აჯობეს ზედა საზანოს მოსწავლეებმა. მათ გადაეცათ გათამაშებაში გამარჯვებულისთვის დაწესებული ვ. მარღანიას სახელობის გარდამავალი თასი.

შ. გიორგაძე.

მასპინძლობდა ქუთაისი

ქუთაისი სამ დღეს მასპინძლობდა საქართველოს მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატებს — რესპუბლიკური პირველობის მონაწილეებს. სარბიელზე გამოდიოდნენ თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთის, აჭარის უძლიერესი სპორტსმენები.

გუნდურ შეჯიბრებაში დაწინაურდა თბილისის ნაკრები, რომელმაც ეს უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა და I ადგილი დაიკავა — 230,53 ქულა. მეორე იყო აჭარის გუნდი (202,575), მესამე — აფხაზეთის კოლექტივი (164,7).

სპორტის ოსტატთა პროგრამით შეჯიბრებაში ყველას აჯობა თბილისელმა ნ. თევზაძემ, რომელმაც 43,95 ქულა დააგროვა და აბსოლუტური ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა. მას 1,05 ქულით ჩამორჩა აჭარის წარმომადგენელი ლ. გოცირიძე. მესამე იყო ლ. თევზაძე (თბილისი) — 42,8.

ოსტატობის კანდიდატების პროგრამა ყველაზე უკეთ შეასრულა თბილისელმა ლ. დოლიძემ — 40,4.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: პირველობის პრიზიორები (მარცხნიდან) — ნ. თევზაძე, ლ. გოცირიძე და ლ. თევზაძე.

ლ. ფაჩუაშვილის ფოტო.

გვესაუბრება აბსოლუტური ჩემპიონი

ინტერვიუ

ამას წინათ ალმა-ათაში გაიმართა მშვილდოსანთა საკავშირო ჩემპიონატი. ამ შეჯიბრების ზოგიერთ შედეგს ჩვენ უკვე ვიტყობინებოდით, მაგრამ მაშინ საშუალება არ გვქონდა მკითხველებისთვის გაგვეცნო ყველა პრიზიორი და საქართველოს სპორტსმენთა მაჩვენებლები.

ყაზახეთის დედაქალაქის სახლსაშენი კომბინატის სტადიონზე გამართულ ასპარეზობაში, რომელიც ოთხ დღეს გაგრძელდა, მონაწილეობდა მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის 12 გუნდი. ლიტვამ, ლატვიამ და ყირგიზეთმა მხოლოდ ვაჟთა კოლექტივები გამოიყვანეს და ბოლო ადგილებიც ამ თანმიმდევრობით დაიკავეს.

თითო კოლექტივს გუნდურ ტურნირში 4-4 ვაჟი და ქალი გამოჰყავდა. ჩათვლაში კი 3-3 საუკეთესო მონაწილის შედეგი შედიოდა.

უკრაინის წარმომადგენლებს ამ შეჯიბრებაში ბადალი არ ჰყავდათ: ვაჟებმა — დინამოელმა სპორტის ოსტატმა ვ. მიხაილენკომ (1201 ქულა), საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებმა არმიელმა ი. ფაინშტეინმა (1157) და დინამოელმა ვ. სიდორუკმა (1152) 3510 ქულა მოაგროვეს და პირველობა დაისაკუთრეს. II ადგილი დაიკავეს ესტონეთის სპორტსმენებმა — 3503, III — მოსკოველებმა — 3477.

საქართველოს გუნდმა (სპორტის ოსტატები: სპარტაკელი ვ. ტროპინი — 1136, ბურევესტნიკელი გ. არჩვაძე — 1133, დინამოელი ა. მეჟევიძე — 1025) 3294 ქულა მოაგროვა და XII ადგილზე გავიდა. გუნდის მეოთხე წევრმა ვ. სოხაძემ 959 ქულა ძლივს დააგროვა.

ქალთა შეჯიბრებაც უკრაინელთა (საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები: არმიელი ვ. კოვპანი — 1203, დინამოელი გ. სტარჩენკო — 1173, ბურევესტნიკელი ა. სალიუკი—1164) გამარჯვებით დამთავრდა — 3540 ქულა. მათ რსფსრ-ს გუნდს 58 ქულა მოუგეს. III ადგილი ამჯერადაც მოსკოველებს ხვდათ — 3393.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა 3340 ქულა მოაგროვეს და V ადგილზე გავიდნენ. ქულები ასე განაწილდა: საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები ქ. ლოსაბერიძე — 1223 ქულა, გ. რიჟამაძე (ორივე — ქუთაისის „ბურევესტნიკი“) — 1035, სპორტის ოსტატობის კანდიდატი მ. გოდერძიშვილი (თბილისის „ლოკომოტივი“) — 1082.

საერთო გუნდურ ჩათვლაში 7050 ქულით გაიმარჯვეს უკრაინელმა მშვილდოსნებმა. II ადგილი ხვდა ესტონეთის კოლექტივს — 6884, III — მოსკოვის წარმომადგენლებს — 6870. საქართველოს გუნდი VIII ადგილზეა — 6634. სსრ კავშირის ხალხთა მომავალი სპარტაკიადის კომპლექსურ ჩათვლაში ჩვენმა ერთ-ერთმა მთავარმა მეტოქემ, ბელორუსიის გუნდმა აქაც გვაჯობა და VI ადგილი დაიკავა. ამ წარმატებას მან ვაჟთა ტრიოს წყალობით მიაღწია.

გუნდურმა ტურნირმა შეარჩია 20-20 უძლიერესი, რომლებმაც შეჯიბრების მესამე და მეოთხე დღეს პირად პირველობაში გამარჯვებისთვის გააგრძელეს ბრძოლა. საქართველოდან ამ ოცეულში შევიდა მხოლოდ ქ. ლოსაბერიძე, რომელსაც „მ-1“ ვარჯიშის ჯამში 1223 ქულა ჰქონდა. მოსკოველ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატთან ე. გაპჩენკოსთან იგი 12 ქულას აგებდა და II ადგილზე იყო. III ადგილზე გახლდათ კოვპანი — 1203. ქალებში მხოლოდ ამ სამმა შეძლო საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატობა დაემტკიცებინა.

თბილისის 54-ე სკოლის IX კლასის მოსწავლემ, 15 წლის მ. გოდერძიშვილმა 1082 ქულა მოაგროვა და 36-ე ადგილი დაიკავა, მაგრამ წლეულს სპორტის ოსტატის ნორმატივი კიდევ ერთხელ შეასრულა.

თავის შესაძლებლობაზე სუსტად გამოვიდა გ. რიჟამაძე (51-ე ადგილი).

ვაჟებში ტროპინი 24-ე იყო, არჩვაძე — 25-ე, მეჟევიძე — 63-ე, ვ. სოხაძე — 71-ე.

ლოსაბერიძემ „მ-1“ ვარჯიშში 60 მეტრიდან სროლით 315 ქულა მოაგროვა და საქართველოს რეკორდი დაამყარა.

პირად პირველობაში მედლებისთვის ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა. პირველ დღეს 70 მეტრზე სროლაში გაპჩენკოს 298 ქულა ჰქონდა, ქეთევანს — 291. ახლა გაპჩენკომ 300 ქულა დააგროვა, დისტანციის ჯამში მას 598 ქულა ჰქონდა, რაც საკავშირო რეკორდია, მაგრამ ვალში არც ქართველი სპორტსმენი დარჩა. პირველი დღის ნადავლს ლოსაბერიძემ 307 ქულა (ეს მსოფლიო რეკორდზე უკეთესი შედეგია) მიუმატა და ჯამში 598 ქულით გაპჩენკოსთან ერთად ქვეყნის რეკორდსმენი გახდა. ლიდერს ქართველი მშვილდოსანი 7 ქულით მიუახლოვდა.

ქეთევანმა ორი ცდის ჯამში 60 მეტრზე 609 ქულა მოაგროვა, 50 მეტრზე — 576, 30 მეტრზე — 650, სულ — 2433 ქულა. „მ-2“ ვარჯიშის ჯამში ასეთი შედეგი მსოფლიოში დღემდე არავის ჰქონია. ლოსაბერიძე სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა.

● **როგორ აჯობეთ გაპჩენკოს?** — ვკითხეთ შინ დაბრუნებულ ჩემპიონს (ქეთევანი გათხოვდა და თბილისში ცხოვრობს. ამიერიდან მას ლოსაბერიძე-გვეტაძედ მოვიხსენიებთ).

— 30 მეტრზე შეჯიბრების წინ ემა 8 ქულით წინ იყო, მაგრამ, თანდათან რომ მივუახლოვდი, ეტყობა, ნერვებმა უმტყუნა და ბოლო სერიაში 301 ქულის მეტი ვერ გააკეთა. ოთხი დღის ჯამში მას 2415 ქულა დაუგროვდა და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. ვერცხლის მედალი კოვპანს ხვდა — 2419.

● **სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში საქართველოს ქალთა გუნდმა III ადგილი დაიკავა. ახლა რატომ დაიხიეთ უკან?**

— სპარტაკიადის აბსოლუტურ ჩემპიონს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ასატუროვა-სორდიას ჩვილი ბავშვი ჰყავს. თბილისელ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს სუმბაძეს რესპუბლიკური ჩემპიონატის წინ მშვილდი გაუტყდა, ახალი იარაღის მორგება და ათვისება კი იოლი არ არის, სუმბაძე რესპუბლიკურ პირველობაში ცუდად გამოვიდა და გუნდში ვერ მოხვდა. საბჭოთა კავშირის ხალხთა მომავალ სპარტაკიადაში ალბათ ძლიერი გუნდი გვეყოლება, თუ, რა თქმა უნდა, მშვილდებით, ისრებით და ფრთებით მოგვამარაგებს.

● **რას გვეტყვით ჩვენს მშვილდოსან ვაჟებზე?**

— ალმა-ათაში თითქოს ცუდად არ გამოსულან, მაგრამ მეტი შეეძლოთ, სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში ვაჟებს მეტი გარჯა მართებთ და ამისთვის აქედანვე უნდა იზრუნონ.

● **როგორ გესახებათ სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდი?**

— მომავალი სპარტაკიადა გუნდებს ძნელ ამოცანებს უსახავს. ჩვენს რესპუბლიკაში მშვილდოსნობის მხოლოდ ორი ცენტრია — თბილისი და ქუთაისი. ვარჯიშისთვის თბილისში უკეთესი პირობებია. კარგი სასროლეთია ანგისაშიც, ქუთაისში კი ბაზა საერთოდ არ არის. არც მშვილდები, ისრები და ფრთები გვაქვს საკმარისი. ამას გარდა, აუცილებელია თბილისში მუშაობდნენ გამოცდილი მწვრთნელები, რომლებსაც ამავე დროს კარგად ეცოდინებათ მშვილდის დაყენება, ისრების გასწორება, ფრთების დამაგრება. ასეთი მწვრთნელია, მაგალითად, შალვა ჯაშიაშვილი, ასეთი იყო მამაევიც, უხეში რომ არ ყოფილიყო და სმა არ ჰყვარებოდა.

ჩვენ გვჯერა, რომ რესპუბლიკის საოლქო და საქალაქო სპორტკომიტეტები, სპორტსაზოგადოებათა საბჭოები იზრუნებენ საქართველოში მშვილდოსნობის კიდევ უფრო მასობრივად დანერგვისთვის. ამისთვის საჭიროა რესპუბლიკის ყველა რაიონში სასროლეთის მოწყობა და საჭირო ინვენტარით მომარაგება.

სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში ასევე მთავარია ნაკრების წევრებისთვის წვრთნის ნორმალური პირობების შექმნა. არ უნდა დავუშვათ, რომ რომელიმე მწვრთნელმა ან სპორტსმენმა სრულწლიური ვარჯიშის ციკლი დაარღვიოს.

● **რა შედეგებით დამთავრდა ვაჟთა ჩემპიონატი?**

— აბსოლუტური ჩემპიონი გახდა კიშინიოველი სტუდენტი ანატოლი ივანენკო, ვერცხლის მედალი მიიღო ესტონელმა მატი ვაიკიარემ, ბრინჯაოსი — მოსკოველმა მიხეილ ზაიცევმა. ზაიცევმა საკავშირო რეკორდი დაამყარა 30 მეტრიდან სროლაში — 682 ქულა, დუშანბელმა ალექსანდრე პანჟინმა — 70 მეტრიდან შეჯიბრებაში — 634 ქულა.

სსრ კავშირის პირველობა

I ლიგა

29 ოქტომბერს შედგა I ლიგის გუნდების საკავშირო გათამაშების ბოლოსწინა ტურის შეხვედრები.

ქუთაისის ტორპედოელები ხარკოვში შეხვდნენ ადგილობრივ „მეტალისტს“ და დამარცხდნენ — 0:1.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:0, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 3:2, „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 2:1, „ალგა“ (ფრუნზე) — „სტროიტელი“ (აშხაბადი) 4:0, „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 3:1, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ზვეზდა“ (პერმი) 4:0, „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — „კუზბასი“ (კემეროვო) 2:1, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „შახტიორი“ (ყარაგანდა) 3:1.

1973

ვეტერანის პრიზზე

განახლდა რესპუბლიკური გათამაშება ფეხბურთში სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. შავგულიძის სახელობის პრიზზე. შეჯიბრებაში მონაწილეობენ საქართველოს გუნდები, რომლებიც საკავშირო გათამაშების II ლიგაში არიან.

ერთობ უჩვეულო შედეგით დამთავრდა სოხუმის „დინამოს“ და მახარაძის „მერცხლის“ შეხვედრა: ანგარიშით 8:7 გაიმარჯვეს სოხუმელებმა.

ლანჩხუთის „გურიამ“ შინ დაამარცხა გორის „დილა“ — 3:2.

ფრედ (1:1) დამთავრდა სამტრედიის „ლოკომოტივისა“ და ბათუმის „დინამოს“ შეხვედრა. დამატებითი პენალტების შემდეგ საერთო ანგარიშით 6:5 გაიმარჯვა „ლოკომოტივმა“.

საქართველოს პირველობა

I ზონა

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

● **„შუქურა“ (ქობულეთი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 2:1. მსაჯი ა. ჯანანაშვილი (თბილისი).**

მატჩის დასაწყისში ქობულეთელი პოლტაჩიდის მიერ გატანილი გოლი ტაიმის დასასრულს გაქვითა კიკნაველიძემ. „შუქურამ“ მაინც გაიმარჯვა ჯაბუას მიერ გატანილი ბურთის წყალობით.

● **„დინამო“ (ზუგდიდი) — „სამცხე“ (აწყური) 3:1. მსაჯი თ. გრიგორაშვილი (თბილისი).**

დინამოელები დაწინაურდნენ 26-ე წუთზე (კეჟერიშვილი), შესვენების შემდეგ კი აწყურელთა კარში დანიშნული ორი პენალტი ზუსტად გამოიყენა კემულარიამ. მერე 11-მეტრიანი მასპინძელთა მხარეს დაინიშნა და მარტინენკომ შეძლო ანგარიშში სხვაობის შემცირება.

● **„მეშახტე“ (ტყიბული) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 1:0. მსაჯი მ. სიჭინავა (გუდაუთა).**

ერთადერთი ბურთი 75-ე წუთზე გაიტანა „მეშახტის“ მცველმა ლორთქიფანიძემ.

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებულია ტყიბულელი ტ. გამყრელიძე. ეს მისთვის მეორე გაფრთხილებაა მიმდინარე სეზონში.

● **„მარტვილი“ (გეგეჭკორი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 2:2. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (ქუთაისი).**

● **„ალაზანი“ (გურჯაანი) — „კოლხეთი“ (ხობი) 3:2. მსაჯი ვ. შილაკაძე (თბილისი).**

ანგარიში მე-17 წუთზე გახსნეს სტუმრებმა (ნ. გვასალია). ეს გოლი ტაიმის მიწურულს გაათანაბრა ეპრიკოვმა. მეორე ტაიმში მასპინძლებმა სრულ უპირატესობას მიაღწიეს, ბეროშვილისა და ეპრიკოვის დარტყმების შემდეგ კი დაწინაურდნენ კიდეც — 3:1. 85-ე წუთზე ხობელმა თ. გვასალიამ მეორე ბურთი გაიტანა მასპინძელთა კარში.

უხეში თამაშისთვის გაფრთხილებულია გურჯაანელი ა. რაზმაძე.

● **„ივერია“ (ხაშური) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 0:1. მსაჯი ე. ჩიბჩიაური (თბილისი).**

თამაში მიმდინარეობდა ხაინტერესოდ, დაძაბულ ბრძოლაში. ხაშურელმა ფეხბურთელებმა ანგარიშის გახსნის რამდენიმე შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს. სამაგიეროდ, მე-12 წუთზე ცხაკაიელმა ძაგანიამ გაიტანა ბურთი, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა ამ მატჩში.

წესრიგის დარღვევისთვის გაფრთხილებული არიან ხაშურელი გ. ჩუბინიძე და ცხაკაიელი ე. გაბუნია.

● **„კახეთი“ (თელავი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:1. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).**

უწესო საქციელისთვის გაფრთხილება მიიღო თელაველმა თ. ელისაშვილმა. ეს მისთვის მეორე გაფრთხილებაა წლეულს.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“	28	19	7	2	57—21	45
„მეტალურგი“ (რუსთავი)	29	17	9	3	56—23	43
ფიზკ. ინსტ.	29	13	9	7	42—27	35
ასკ	27	10	11	6	45—28	31
„კოლხ.“	30	9	12	9	37—35	30
„ქართლი“	30	11	8	11	50—50	30
„ივერია“	30	10	10	10	36—40	30
„სულორი“	28	8	13	7	36—39	29
„კახეთი“	29	11	7	11	38—45	29
„მაღარ.“	29	9	10	10	38—35	28
„მეშახტე“	30	9	10	11	43—45	28
„შუქურა“	29	9	9	11	34—34	27
„ეგრისი“	28	10	6	12	43—45	26
„ლოკომ.“	30	8	9	13	37—51	25
„მეტალურგი“ (ზესტაფ.)	30	7	10	13	42—43	24
„მარტვ.“	30	7	9	14	25—45	23
„სამცხე“	30	8	5	17	44—64	21
„ალაზანი“	28	8	4	16	38—71	20

ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

დღეს ლენინგრადში შედგება საკავშირო ჩემპიონატის მატჩი ადგილობრივ „ზენიტსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის.

მატჩის რადიორეპორტაჟი დაიწყება 18 საათსა და 5 წუთზე თბილისის დროით.



გასულ კვირას თბილისში, სტალინის სახელობის სანაპიროზე, ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტმა კომკავშირის დაბადების დღის აღსანიშნავად მოაწყო მასობრივი მძლეოსნური კროსი, რომელშიც დედაქალაქის რვა რაიონის 8000-ზე მეტი ფიზკულტურელი მონაწილეობდა. ბევრმა მონაწილემ 500 და 1000 მეტრზე რბენაში მშდ კომპლექსის ნორმატივები ოქროსა და ვერცხლის სამკერდე ნიშნებზე ჩააბარა.

სურათებზე: შეჯიბრების მომენტები.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

ფიშერი · ჩემი სიყვარული · ტრაგედია

ბ. ალექსანდროვიჩი

ჯერ კიდევ მანამ, სანამ საჭადრაკო ტახტზე დამკვიდრდებოდა, საზღვარგარეთელი რეპორტიორების ფანტაზიამ იგი რაღაც დემონურ სუპერმენად აქცია. „ეს ფსიქოლოგიური მკვლელია საჭადრაკო დაფასთან, — წერდა, მაგალითად, ჟურნალისტი ჰაროლდ შონბერგი ჟურნალ „ნიუ იორკ ტაიმს მეგეზინში“. — საიდუმლო ემანაციებით ფიშერი თანდათანობით ალყას არტყამს თავის პარტნიორებს, ახევებს მათს ნებისყოფასა და გონებას. ჭადრაკის ამ პირქუშ დემონთან შეჭიდებისას ჩვეულებრივი დიდოსტატი, რაგინდ მტკიცე ნებისყოფა ჰქონდეს, ისე იქცევა, როგორც კურდღელი ავაზას წინაშე. იგი იბნევა კარგად ცნობილ სადებიუტო ვარიანტში, უშვებს ელემენტარულ პოზიციურ შეცდომებს და ბრმასავით თამაშობს, კაპიტულაციის შემდეგ დარბაზს ტოვებს დამცირებული, მოტეხილი და სამუდამოდ კარგავს თავისი თავისადმი რწმენას... მას არ შეუძლია განთავისუფლდეს ისეთი გრძნობისგან, თითქოს ვიღაც უხილავი მტარვალი ჭიქებით სვამდა მის სისხლს...“

ნამდვილად ავის მომასწავებელი სურათია, რომელიც ედგარ პოსა და ამბროზ ბირსის ზოგიერთი მოთხრობის ატმოსფეროს გვიხატავს. მაგრამ, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში საუბარია არა გამოგონილ პერსონაჟზე, არამედ რეალურად არსებულ ადამიანზე, ძალაუნებურად იბადება კითხვა: რას წარმოადგენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ეს „ფსიქოლოგიური მკვლელი“, „პირქუში დემონი“, „მტარვალი“?

რეპორტიორი ბრედ დარაჰი ეკუთვნის იმ ადამიანთა მცირერიცხოვან ჯგუფს, რომელთაც ფიშერი ზოგჯერ უზიარებს შეხედულებებს ცხოვრებაზე, თავის გეგმებს. 1971 წლის შემოდგომაზე მათ რამდენიმე კვირა დაჰყვეს ერთად არგენტინაში. გთავაზობთ რამდენიმე ნაწყვეტს დარაჰის მოგონებებიდან, რომლებიც იმ პერიოდს ეკუთვნის (მოგონებები დაიბეჭდა ჟურნალ „ლაიფში“).

„... „ლონდონ გრილში“, ბუენოს-აირესის ყველაზე პოპულარულ ინგლისურ რესტორანში, მაგიდა დარბაზის სიღრმეში დავიკავეთ. მან თავისთვის დაუკვეთა ორი ჭიქა ფორთოხლის წვენი, უზარმაზარი ბიფშტექსი, ერთი ულუფა ახალი სალათი და ერთი ბოთლი მინერალური წყალი. ხუთი წუთის შემდეგ მოითხოვა კიდევ ერთი ჭიქა ფორთოხლის წვენი, შემწვარი იხვი, ერთი თეფში ბანანი და ათქვეფილი ნაღები. ყველაფერს ამას მუსრს ავლებდა და თან შეუჩერებლივ ლაპარაკობდა: „შეხედე ერთი ამ ბიფშტექსს! ნამდვილი ხორცია, ჩვენს ქეციან ამერიკულ ბიფშტექსებს კი არ ჰგავს, ნახევრად ქიმიური ნაერთები რომაა. ნივთებსაც აქ უკეთესს აკეთებენ. შეხედე ამ ფეხსაცმელს (მან სწრაფად გაიხსნა ზონარი უზარმაზარ მარჯვენა ფეხსაცმელზე, გაიხადა და ზედ მაგიდაზე გამომიწოდა), ერთი წელია ვიყიდე აქ და დღემდე ახალთახალია, შტატებში კი, ალბათ, ყოველდღე ერთი წყვილი დამჭირდებოდა. საერთოდ, უნდა გითხრა, თუმცა კი ამერიკა მიყვარს და არასოდეს მივატოვებ, ამ ქვეყანას რაღაც უცნაური რამ ემართება. თითოეული მხოლოდ თავის სარგებლობაზე ფიქრობს, სხვა კი სულაც არ აინტერესებს! არა, დაიმახსოვრე ჩემი სიტყვები: თუ წესიერების ძველი ნორმების აღორძინება ვერ შევძელით, ყველაფერი თავდაყირა დადგება!...“

სწორედ მაშინ გააცნო ბობიმ დარაჰს მომავლის გეგმები. „როცა ჩემპიონი გავხდები, — ამბობდა იგი, — რამდენიმე თვეში ერთხელ, ყოველ შემთხვევაში, წელიწადში ორჯერ მაინც, დიდ თანხაზე ვითამაშებ მატჩებს. ჩემპიონმა რაც შეიძლება ხშირად უნდა ითამაშოს, ეს ყოველმხრივ კარგია: ფორმის შენარჩუნებისთვისაც, ჭადრაკისადმი ინტერესის გაღვივებისთვისაც და საბანკო ანგარიშისთვისაც. მინდა ცოტა ფული დავაგროვო. ბოლოს და ბოლოს, რითი ვარ იმ პროფესიონალ ფეხბურთელებზე ნაკლები, ასიათასობით დოლარზე რომ დებენ კონტრაქტებს. თუ კი მათთვის პოულობენ ადგილს მზის ქვეშ, ჩემთვისაც უნდა გამოინახოს... ფული მჭირდება, რათა თავი დამოუკიდებლად ვიგრძნო და საშუალება მქონდეს უარი ვთქვა უინტერესო წინადადებებზე...“

ახლა კი პატარა ნაწყვეტი ფიშერის საუბრიდან გლიგორიჩთან, რომელმაც ბუენოს-აირესში დარეკა, რათა ბობისთვის პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში გამარჯვება მიელოცა:

„... ჰელო, გლიგო! გმადლობთ! როგორ?.. კი, მეორე პარტიის შემდეგ ცოტა შევშფოთდი... კი, მეხუთეშიც შემხვდა ნერვიულობა. მას (პეტროსიანს, — ბ. ა.) კარგი პოზიცია ჰქონდა, მაგრამ, საბედნიეროდ, მოგებაზე თამაში ვერ გაბედა...“

ყველა ამ ეპიზოდში ფიშერი წარმოგვიდგება მეტისმეტად უშუალო, ზოგჯერ ბავშვურად გულუბრყვილო ადამიანად, რომელიც მაინცდამაინც დამაჯერებლად ვერ გრძნობს თავს ყოველდღიურ ცხოვრებაში. უფრო მეტიც, თურმე, როგორც მოჭადრაკისთვის, მისთვის უცხო არ არის შიში და ეჭვი. ნამდვილად მდიდარი წარმოსახვა უნდა ჰქონდეს კაცს, რომ მასში აღმოაჩინოს რაღაც „დემონური“, „ზეადამიანური“ (ზეადამიანურ მადას თუ არ ჩავთვლით). თუმცა, თვით ფიშერსაც ასეთი შეფასება ან აღიზიანებს, ან დაცინვის გუნებაზე აყენებს. „რა შუაშია აქ ფსიქოლოგიური მკვლელობა? — არ ესმის მას. — უბრალოდ, უნდა შევეძლოს მონახო უძლიერესი სვლა ნებისმიერ პოზიციაში. მე მართლაც განვიცდი კმაყოფილებას, როცა პარტნიორი მორალურად ეცემა, მაგრამ ამას ვაღწევ არა მაგიური შელოცვებითა და ჰიპნოზით, არამედ გაცილებით მარტივად: მივდივარ, ვჯდები დაფასთან და ვიგებ პარტიას... მაგრამ მიდია მიდიაა. იგი ერთ დღესაც ვერ ძლებს გადაჭარბებისა და გამონაგონების გარეშე...“

„მიდია“, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ეძახიან, ფიშერის მუდმივი ლანძღვის ობიექტია. „მე მძულხართ თქვენ, ჟურნალისტები! — მითხრა ბობიმ, ბრაზიანად შეჭმუხნა წარბები და თვალებში შემომხედა, — იხსენებს ბრედ დარაჰი. — თქვენ ცდილობთ თქვენი ნაბოდვარი მთელს ქვეყანას მოჰფინოთ და სულაც არ გაწუხებთ, რა მოჰყვება ამას... ჭორისა და სპეკულაციის საგნად აქცევთ ყველაფერს, რასაც ეხებით...“

ამასთან, როგორც იგივე დარაჰი აღნიშნავს, „რაზეც უნდა ელაპარაკა ბობის — ქალაქების დაცემაზე თუ გარემოს გაჭუჭყიანებაზე, ზნეობის წახდენაზე თუ ხმაურის მავნე მოქმედებაზე, მყისვე მიხვდებოდით, რომ ყველა ცნობა იმ საკითხებზე, რომელთაც პირდაპირი დამოკიდებულება არ ჰქონდათ ჭადრაკთან, აღებული იყო არა საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, არამედ გაზეთებიდან და ჟურნალებიდან, რადიო- და ტელეგადაცემებიდან, ესე იგი მასობრივი ინფორმაციის იმავე საშუალებებიდან, რომლებიც ფიშერს ასე სძულს“.

სამწუხაროდ, მართლაც ასეა. ბობი ფიშერი ბავშვობიდანვე თითქმის სრულიად იზოლირებულია ყოველივე იმისგან, რაც ჭადრაკის დაფის 64 უჯრის ფარგლებს გარეთ ხდება. მისი წარმოდგენები გარემომცველ სამყაროზე უმეტესწილად ნასესხებია იმ წყაროებიდან, რომელთაც იგი ასეთი რისხვით იხსენიებს.

როცა ბობი ექვსი წლისა იყო, მისმა დამ, თერთმეტი წლის ჯოანმა ბრუკლინის საბაყლო მაღაზიის მფლობელისგან მიიღო „მუდმივი მუშტრის პრიზი“ — ჭადრაკის კომპლექტი, რომელსაც თამაშის წესებიც ახლდა. ბობიმ და ჯოანმა ერთად შეისწავლეს ეს წესები, შემდეგ კი თეორიიდან პრაქტიკაზე გადავიდნენ და ერთმანეთთან რამდენიმე მატჩი ითამაშეს. თავიდან წარმატება ჯოანის მხარეს იყო, მაგრამ შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. „სწორედ მაშინ დავანებე თავი ჭადრაკს. საქმე ისაა, რომ ჩვენ, ფიშერები, ძალიან მტკივნეულად განვიცდით დამარცხებას!“ — უთხრა რეპორტიორებს რეიკიავიკში მატჩის დამთავრების შემდეგ 34 წლის ჯოან ტარგმა, ლაზერის გამოსხივებათა კალიფორნიელი სპეციალისტის ცოლმა, ორი შვილის დედამ.

ჭადრაკმა ერთბაშად დაჩრდილა ბობისთვის ყველაფერი დანარჩენი. სკოლაში სიარული მისთვის მძიმე ვალდებულება იყო. იგი არასოდეს ბრწყინავდა სწავლაში წარმატებებით, თუმცა „ინტელექტუალობის კოეფიციენტი“ საკმაოდ მაღალი ჰქონდა — 184 (პარიზის „მონდის“ საჭადრაკო მიმომხილველი პატრიკ სერი, რომელსაც ეს ცნობა მოჰყავს, შედარების მიზნით აღნიშნავს, რომ საშუალო ფრანგის „ინტელექტუალობის კოეფიციენტი“ 120-ს უდრის). „ჩვენი სკოლები კრეტინების თავშესაფრებია, ხოლო მასწავლებლები ნამდვილი უვიცები არიან“, — ბობიმ შემდეგში ამ სიტყვებით შეაჯამა თავისი სწავლის წლების გამოცდილება. თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია ბრუკლინის სკოლის დირექციისთვის, რომ სააქტო დარბაზის ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე დაეკიდა თავისი ყოფილი დაუდევარი (და სწავლადაუმთავრებელი) მოსწავლის პორტრეტი, მას შემდეგ, რაც იგი მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

ფიშერის საზღვარგარეთელი ბიოგრაფები მომავალი ჩემპიონის ბავშვობის წლების აღწერისას უხვად ამკობენ მას ათასგვარი ფროიდისტული „კომპლექსებით“. ზოგიერთი მათგანი ცდილობს ამ ყბადაღებულ „კომპლექსებამდე“ დაიყვანოს არა მარტო ფიშერის ფანატიკური ერთგულება ჭადრაკისადმი, არამედ მისი თამაშის ზოგიერთი თავისებურებაც. მაგალითად, ფრანგი ფსიქოანალიტიკოსი პიერ ბელოკენი ჟურნალ „სიანს ე ვიში“ ლაზიერების საჩქაროდ გაცვლისკენ ფიშერის მისწრაფებას ხსნის... მტრობით საკუთარ დედასთან, რომელსაც რეგინა („დედოფალი“) ჰქვია. სამწუხაროდ, მუსიე ბელოკენს ბოლომდე არ მიჰყავს თავისი „თეორია“ და „ფსიქოანალიზური“ ახსნის გარეშე ტოვებს იმ აშკარა ფაქტს, რომ ფიშერი გვარიანად თამაშობს ჭადრაკს, თუნდაც დაფაზე ლაზიერები იყოს.

ბობის დედა — რეგინა პიუსტენი (1961 წელს იგი მეორედ გათხოვდა, ცოლად გაჰყვა ერთ-ერთი ინგლისური კოლეჯის მასწავლებელს და ახლა ქმრის გვარს ატარებს), დიდი ნებისყოფისა და მიზანსწრაფვის მქონე ქალია. 1932 წელს ცხრამეტი წლის რეგინა ვენდერმა, უმუშევარი თერძის ქალიშვილმა, საბჭოთა მთავრობას მიმართა თხოვნით, რომ მისთვის საშუალება მიეცათ საბჭოთა კავშირში მიეღო სამედიცინო განათლება. „მე მათ ავუხსენი, რომ მინდოდა ექიმი გავმხდარიყავი, მაგრამ სწავლის ფული არ მქონდა. მათთან განათლება უფასოა და ვთხოვე დახმარება გაეწიათ ამ საქმეში, — იხსენებს ახლა ექიმი პიუსტენი. — მათ იმდენი სიკეთე გამოიჩინეს, რომ თხოვნა შემისრულეს: 1933-დან 1938 წლამდე ვსწავლობდი მოსკოვის პირველ სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც წარჩინებით დავამთავრე“.

ამან რეგინა ვენდერს საჭირო ცოდნა მისცა, საექიმო პრაქტიკის შესაძლებლობა კი არა. ამერიკის შეერთებულ შტატებში იმ დროს საზღვარგარეთულ დიპლომებს ძალა არ ჰქონდა. სამშობლოში დაბრუნებისთანავე რეგინა ცოლად გაჰყვა გერმანელ ემიგრანტს გერჰარდ ფიშერს, პროფესიით ბიოფიზიკოსს, რომელმაც 1945 წელს ოჯახი მიატოვა. მან ცოლის კმაყოფაზე დატოვა ექვსი წლის ჯოანი და ორი წლის ბობი. რეგინა ფიშერი იძულებული გახდა შეეთავსებინა მასწავლებლობა საავადმყოფოში სანიტრად მუშაობასთან. სწორედ დედამ ასწავლა ბობის რუსული ენა, იმდენი მაინც, რომ საბჭოთა საჭადრაკო ლიტერატურის კითხვა შესძლებოდა. 1956 წელს რეგინამ ორჯერ მიიტანა იერიში თეთრ სახლზე. პირველად მან მოითხოვა, რომ ბობისთვის მიეცათ სპეციალური სტიპენდია ჭადრაკში დაოსტატებისთვის, მეორედ კი პროტესტს უცხადებდა სახელმწიფო დეპარტამენტს, რომელმაც ბობის უარი უთხრა გდრ-ში საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გასამგზავრებლად ვიზის გაცემაზე. თუმცა, შემდეგში ბობის ესოდენ დიდმა გატაცებამ რეგინა ფიშერის შეშფოთება გამოიწვია. „მე ვშიშობდი, რომ ეს გატაცება სხვამხრივ გააღარიბებდა ბობის ცხოვრებას და მიმაჩნია, რომ ჩემი შიში გამართლდა, — განუცხადა რეგინამ გაზეთ „ნიუ იორკ ტაიმსის“ რეპორტიორს უკვე მას შემდეგ, რაც ბობიმ მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა. — რასაკვირველია, რაკი ჭადრაკი მის ერთადერთ საქმედ იქცა, მიხარია, რომ ბობიმ დიდ წარმატებას მიაღწია, მაგრამ გულახდილად რომ გითხრათ, როგორც დედას, გაცილებით უფრო გამიხარდებოდა, ჩემი ვაჟის დაქორწინების ამბავი რომ შემეტყო“.

ორმოცდაცხრამეტი წლის რეგინა პიუსტენი დღესაც ენერგიით აღსავსეა. 1970 წელს მან დაამთავრა ექიმთა დახელოვნების კურსები გფრ-ში, რის შემდეგაც ერთ წელიწადს იმუშავა დიდი ბრიტანეთის ორ პედიატრიულ კლინიკაში. 1972 წლის ოქტომბრის მიწურულს ექიმი პიუსტენი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩავიდა ვიეტნამში გაჩაღებული ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად. ერთი თვის მანძილზე იგი ოთხჯერ დააპატიმრეს თეთრი სახლის პიკეტირებისთვის, როცა მოითხოვდა ვიეტნამში დაბომბვის შეწყვეტას. შემდეგ, ვიეტნამის საკითხზე მშვიდობიანი შეთანხმების ხელმოწერამდე, რეგინა არაერთგზის მონაწილეობდა საპროტესტო დემონსტრაციებში გფრ-ის ტერიტორიაზე განლაგებულ ამერიკის სამხედრო ბაზებთან. როცა „ნიუ იორკ ტაიმსის“ რეპორტიორმა რეგინა პიუსტენს ჰკითხა, იზიარებს თუ არა შვილი თქვენს პოლიტიკურ მრწამსსო, მან უპასუხა: „არა, მაგრამ შეგნებულად ეკიდება იმ ამბავს, რომ მე ვიცავ ჩემს შეხედულებებს. ბობი პრინციპული ადამიანია და ყველაზე მეტად ის სძულს, ვინც თეორიასა და პრაქტიკას ერთმანეთს ვერ უთანხმებს“.

ბობი 18 წლისაც არ იყო, როცა ოჯახი მიატოვა, რათა თავი მთლიანად ჭადრაკისთვის შეეწირა. მას შემდეგ ფიშერი სასტუმროებში ცხოვრობს და ძალიან იშვიათად ხვდება ახლობლებს. ამან გამოიწვია დიდი მითქმამოთქმა, თითქოს ბობიმ ოჯახთან კავშირი გაწყვიტაო. მაგრამ რეგინა პიუსტენის ახლო მეგობარმა ქალმა როუზ კინანმა „ნიუ ორკ ტაიმსის“ რეპორტიორთან საუბარში გადაჭრით უარყო ეს ხმები. „ეს მეგობრული ოჯახია, — თქვა მან, — მაგრამ ფიშერები მეტისმეტად თავშეკავებული არიან გრძნობათა გამოხატვაში. რაც მთავარია, ისინი ცდილობენ ერთმანეთს თავს არ მოახვიონ თავიანთი აზრები და შეხედულებები. რეგინა და ჯოანი რეპორტიორებს არაფერს ეუბნებიან ბობიზე, რადგან იციან, რომ მას არ უყვარს ეს. გარდა ამისა, არც თვითონ არიან ისეთი ბუნებისა, რომ უცხო ადამიანებს გაანდონ თავიანთი ოჯახური საიდუმლოებანი. მაგრამ ფიშერებს რეგულარული მიწერ-მოწერა აქვთ და ტელეფონითაც ხშირად საუბრობენ. რეიკიავიკში მატჩის დროს ბობიმ ისლანდიაში მიიპატიჟა ჯოანი თავის ოჯახთან ერთად. ფიშერის სიძე საკმაოდ შეძლებული კაცია, მაგრამ ბობი მაინც დაჟინებით მოითხოვდა, მგზავრობის ხარჯებს მე გადავიხდიო. მან დედასაც სთხოვა რეიკიავიკში ჩასვლა, მაგრამ რეგინას ამ დროს ექვსთვიანი ხელშეკრულება ჰქონდა დადებული ინგლისის ერთ-ერთ ბავშვთა საავადმყოფოსთან და შვილს თხოვნა ვერ შეუსრულა.

... ცხრა წლის ბობიმ დიდხანს უტრიალა მანჰეტენის ფრენკ მარშალის სახელობის საჭადრაკო კლუბის კარს, სანამ კლუბის ერთმა მუდმივმა და გულჩივმა სტუმარმა შესასვლელი ბილეთი არ უყიდა. „ცქვიტი ბიჭუნა“, როგორც მაშინვე უწოდეს ბობის, ზედიზედ უგებდა ყველას და მალე მიიქცია დამსწრეთა ყურადღება. მიუხედავად ამისა, ჭადრაკის ვუნდერკინდს დიდხანს ნამდვილი ომი ჰქონდა მკაცრ შვეიცართან, რომელსაც არასგზით არ სურდა კლუბში მისი უბილეთოდ შეშვება.

ბოლოს და ბოლოს დირექციამ სარეკლამო მოსაზრებებით იხელმძღვანელა, ბავშვი საწევრო გადასახადებისგან გაათავისუფლა და კლუბის ბიბლიოთეკით სარგებლობის ნება მისცა. თანდათან გამდიდრდა ფიშერის პირადი საჭადრაკო ბიბლიოთეკაც. ბობი რეგულარულად მონაწილეობდა კლუბში პარასკეობით გამართულ ბლიც-ტურნირებში, ფულად პრიზებს იგებდა და ამ ფულით საჭადრაკო წიგნებსა და ჟურნალებს ყიდულობდა...

(გაგრძელება იქნება).

კიდევ ორი ყაიმი

ჰააგაში, ნიდერლანდების კონგრესების სასახლეში, დამთავრდა ტ. სეიბრანდს (ჰოლანდია) — ა. ანდრეიკოს (სსრ კავშირი) მატჩ-რევანში მსოფლიო პირველობაზე ასუჯრიან შაშში. გაიმარჯვა ჰოლანდიელმა დიდოსტატმა ანგარიშით 22:18.

ორთაბრძოლის დასკვნითი, XIX და XX პარტიებიც ყაიმით დამთავრდა. ამრიგად, სეიბრანდსმა ორი პარტია მოიგო და თვრამეტში ყაიმს დასჯერდა.

წინასწარი შეჯიბრებები

◆

თბილისში, ოდესაში...

◆

2 ნოემბერს თბილისსა და ოდესაში სტარტს აიღებს სსრ კავშირის ვაჟთა და ქალთა თასების გათამაშებათა წინასწარი, შესარჩევი შეჯიბრებები. მატჩები, რომლებშიც 64-64 მოჭადრაკე მიიღებს მონაწილეობას, ოთხ ციკლად გაიმართება. თითოეულ მატჩში ოთხ-ოთხი პარტია გათამაშდება.

პირველ ეტაპზე 32 მატჩი შედგება, მეორეზე — 16, მესამეზე — 8, მეოთხეზე — 4. შემდეგ ეტაპზე გამარჯვებული ოთხი მოჭადრაკე თასისთვის ბრძოლას გააგრძელებს მოსკოვში, ნახევარფინალურ და ფინალურ მატჩებში. შეჯიბრება 1-13 დეკემბერს გაიმართება სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში.

საინტერესოა წინასწარი შეჯიბრების რეგლამენტი. პირველ 45 სვლაზე თითოეულ მეტოქეს საათნახევარი ეძლევა. თუ პარტია გადაიდო, მის დასამთავრებლად თითოეულ მეტოქეს კიდევ თითო საათი მიეცემა, რა თქმა უნდა, იმ დროის ჩათვლით, რომელიც პირველ 45 სვლაზე დაიხარჯება.

თუ პირველი ციკლის მატჩი ყაიმით (2:2) დამთავრდა, მაშინ გადადებული პარტიების დამთავრების დღეს მეტოქეებმა ორი დამატებითი პარტია უნდა ითამაშონ დროის ასეთი კონტროლით: თითოეულ მონაწილეს — თითო საათი პარტიის ბოლომდე. თუ დამატებითი პარტიებიც ყაიმით (1:1) დასრულდა, მაშინ გამარჯვებულს წილისყრა დაასახელებს. მეორე ციკლიდან უპირატესობა იმ მონაწილეს მიეცემა, — ვისაც წინა მატჩებში მეტი ქულა ექნება დაგროვილი. მაგრამ, თუ მეტოქეებს აქაც თანაბარი მაჩვენებელი აღმოაჩნდათ, მაშინ გამარჯვებული წილისყრით გამოვლინდება. ავადმყოფობის გამო გაცდენილი პარტია წაგებულად ითვლება.

ვაჟთა ტურნირში, რომელიც თბილისში, ჭადრაკის სასახლეში ჩატარდება, ცნობილი მოჭადრაკეებიც მიიღებენ მონაწილეობას. მაგალითად, ითამაშებენ თასის პირველი მფლობელი, დიდოსტატი დ. ბრონშტეინი (მოსკოვი), დიდოსტატი ე. გუფელდი (თბილისი), საერთაშორისო ოსტატები ვ. ცეშკოვსკი (ომსკი), საკავშირო ჩემპიონატის პირველი ლიგის ტურნირის მთავარი მსაჯი ვ. მიკენასი, ოსტატი ე. ჩუკაევი (ორივე — ვილნიუსი) და სხვ.

შეჯიბრებაში მიწვეული არიან ჩვენი ოსტატებიც — საქართველოს თასის მფლობელი ა. ტუზოვსკი (სოხუმი), ა. ბოკუჩავა (თბილისი) და ჯ. ბერაძე (წყალტუბო).

ოდესაში ქალთა თასისთვის საასპარეზოდ გაემგზავრნენ ოსტატი თ. ხუგაშვილი, ოსტატობის კანდიდატები — თბილისისა და საქართველოს თასების მფლობელი მ. ჩიბურდანიძე, მ. წერეთელი, პირველთანრიგოსნები ლ. ბელოზიოროვა და ს. ცერცვაძე (ყველა — თბილისი).

თასებისთვის წინასწარი შეჯიბრებები 21 ნოემბრამდე გაგრძელდება.

თ. გიორგაძე,
ვაჟთა შორის სსრ კავშირის თასზე წინასწარი შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი.

[illegible]

წითელი წყარო

გაიმართა რაიონის პირველობა ფრენბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. შეჯიბრებაში, რომელიც ოლიმპიური სისტემით ჩატარდა, 12 ფიზკულტურული კოლექტივი ჩაება. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ არხილოსკალოს კოლმეურნეობისა და სამთაწყაროს რუსული საშუალო სკოლის გუნდები. არხილოსკალოელებმა იოლად გაიმარჯვეს და უძლიერესის სახელი დაიმკვიდრეს.

უ. წყარუაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკრაინის დღე

თბილისი. სპორტის სასახლე. 30 ოქტომბერი.

ფიზკულტურის ინსტიტუტი (ტაშკენტი) — მეტალურგიის ინსტიტუტი (ზაპოროჟიე) 23:34 (12:15).

„ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე) — საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) 25:22 (14:13).

ცსკა — „კუნცევო“ (მოსკოვი) 25:23 (12:13).

ასკ (კიევი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი) 26:19 (14:5).

მართლაც, თუ ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის მეოთხე ტურის შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, 30 ოქტომბერს უკრაინის დღე უნდა ვუწოდოთ. საქმე ისაა, რომ უმაღლეს ლიგაში მოთამაშე უკრაინის სამივე გუნდმა გამარჯვების მაუწყებელი 2-2 ქულა ჩაიწერა გათამაშების ცხრილში. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ „ალუმინსტროიმ“ ისეთი სამიში მეტოქის დამარცხება შეძლო, როგორიცაა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი. მართალია, მოსკოველთა რიგებში არ იყვნენ გუნდის ლიდერები კლიმოვი და ოგანეზოვი, მაგრამ ეს არ ამცირებს ზაპოროჟიელთა გამარჯვებას. კლიმოვი მოედანზე იმიტომ არ გავიდა, რომ წინა თამაშში დაშავდა, ხოლო ოგანეზოვი იმიტომ, რომ იგი წინა მატჩში უხეშობის გამო მსაჯმა მატჩის ბოლომდე გააძევა. ბუნებრივია, ზაპოროჟიელებმა ეს გარემოებაც კარგად გამოიყენეს, მაგრამ, რაც მთავარია, გუნდის მთელმა შემადგენლობამ თანაბარი ძალით ითამაშა. ყველამ იცის, რომ მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდის შემადგენლობაში ძირითადად თავმოყრილი არიან საბჭოთა ნაკრების წევრები. ამდენად, მათს კოლექტივს ორი ძლიერი მოთამაშე რომ გამოაკლდეს, განსაკუთრებული დანაკლისი არ იქნება. სწორედ ასეთ ძლიერ კოლექტივს წართვა 2 ქულა „ალუმინსტროიმ“. წარმატება განაპირობა უაღრესად ზუსტმა ურთიერთმოქმედებამ, გამარჯვებისადმი დიდმა სწრაფვამ და სათამაშო დისციპლინამ.

რაც შეეხება ზაპოროჟიელთა მეორე გუნდს — მეტალურგიის ინსტიტუტის კოლექტივს, ტაშკენტის ფიზკულტურის ინსტიტუტის ხელბურთელებთან გამარჯვებისთვის დიდი ჯაფა არ დასდგომია. ზაპოროჟიელთა წარმატებაში დამსახურება მიუძღვით პირველ ყოვლისა ლაგუტინსა და სტიოპინს, რომლებმაც მეტოქეთა კარში 8-8 გოლი გაიტანეს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ არც დანარჩენები მოქმედებდნენ უშედეგოდ. მაგალითად, ჩურსინის ანგარიშზეა 4 გოლი, ხოლო რეზანოვის ანგარიშზე — 5.

მესამე წარმატება უკრაინის ხელბურთს კიევის ასკ-მ მოუტანა. არმიელებმა განსაკუთრებით ლაღად და შემართებით ითამაშეს პირველ ტაიმში. ამ პერიოდში მოპოვებული საგრძნობი უპირატესობა საკმარისი აღმოჩნდა საბოლოო გამარჯვებისთვის. თბილისელებმა პირველ ტაიმში გატანილი 5 გოლიდან 4 პირველ ათ წუთში გაიტანეს, მერე კი მდგომარეობის ბატონ-პატრონნი მთლიანად კიეველები იყვნენ. შეიძლება ასე არ მომხდარიყო, თბილისელებს მოედანზე მსაჯებთან უსაფუძვლო და გაუთავებელი კამათი რომ არ გაემართათ.

შესვენების შემდეგ თბილისელებმა უკეთ დაიწყეს თამაში, მეორე ტაიმი მოიგეს კიდეც (14:12), მაგრამ ჩარხის წაღმა დატრიალებისთვის ეს უკმარი აღმოჩნდა.

ახლა, როცა შეჯიბრება პირველი წრის ეკვატორს გასცდა, თბილისელებს მხოლოდ 2 ქულა აქვთ. მდგომარეობა მართლაც საგანგაშოა. საჭიროა მთელი ძალისა და ნებისყოფის მოკრება, თორემ უმაღლეს ლიგაში თბილისელთა დაბრუნება შეიძლება ხანმოკლე აღმოჩნდეს.

ჯ. ენუქიძე.

• • •

სურათზე: „კუნცევოსა“ და ცსკა-ს შეხვედრის მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

• • •

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 31 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	4	3	0	1	87—79	6
საავ. ინსტ.	4	3	0	1	109—103	6
ასკ	4	2	1	1	98—84	5
მეტალ. ინსტ.	4	2	1	1	99—86	5
„კუნცევო“	4	1	1	2	101—102	3
„ალუმინსტ.“	4	1	1	2	83—97	3
„ბურევესტ.“	4	1	0	3	87—91	2
ფიზკ. ინსტ.	4	1	0	3	94—116	2

ჩვენი ქალაქის აფროსანთა ძირითადი მოსამზადებელი ცენტრი თბილისის ზღვაა. სპორტსმენები რეგულარულად ვარჯიშობენ, მაგრამ წვრთნა განსაკუთრებით ინტენსიურია შაბათ-კვირას. ამას წინათ აქ გაიმართა თბილისის სპორტნაგებობათა სამმართველოს თასის გათამაშება. „მფრინავი ჰოლანდიელის“ კლასში გაიმარჯვა ვ. ქიტუაშვილისა და გ. ჯალაგანიძის დუეტმა. თბილისელმა ნიჩბოსნებმა მზადება დაამთავრეს და სოხუმში საქართველოს ჩემპიონატში იასპარეზებენ.

• • •

სურათზე: ვ. ქიტუაშვილი და გ. ჯალაგანიძე დისტანციაზე.

მ. ზარგარიანის ფოტო.

უცხოეთის ფეხბურთის ფურცელი

„ახალი ზაგალო“

„ბრაზილიას ახალი ზაგალო ჰყავს“, — წერდა ამას წინათ „ჟორნალ დოს სპორტსი“. ამას თვით ზაგალოც ეთანხმება: „დირცეუზე უკვე დღესვე შეიძლება ითქვას, რომ მისი კარიერა ბრწყინვალე იქნება“.

სულ ერთი წლის უკან დირცეუ, რომელიც 21 წლისაა და ფრიად ტანმორჩილი (163 სმ) გახლავთ, პროვინციულ „კურიტიბაში“ თამაშობდა, სადაც სპეციალისტთა ყურადღება მიიქცია. იგი 1972 წლის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა, შემდეგ კი კონტრაქტს მოაწერა ხელი „ბოტაფოგოსთან“. დირცეუ უკან დაწეული მარცხენა გარემარბია, ბევრს თამაშობს მინდვრის შუაგულში, მაგრამ როცა საჭიროა, წინ გადის და მწვავედ უტევს ფრთაზე.

დირცეუ პირველად იყო ევროპაში როგორც ეროვნული ნაკრების მოთამაშე, ამ ტურნეში კარგად ითამაშა და სწორედ მის მიერ გატანილმა ბურთმა გადაწყვიტა მატჩის ბედი ევროპის ჩემპიონთან — გფრ-ის ნაკრებთან.

ბრაზილიაში დაბრუნების შემდეგ ზაგალომ მკაცრად გააკრიტიკა თავისი გუნდის მოთამაშეები, დირცეუს მიმართ კი არსებითი შენიშვნა არ ჰქონია.

ალბერტი ჩონას ნაცვლად

„ფერენცვაროშის“ მწვრთნელი ფ. ჩონა გადადგა. მას ცვლის 32 წლის ფ. ალბერტი, რომელიც სულ ახლახან ამ გუნდის კაპიტანი და წამყვანი მოთამაშე იყო.

თუმცა მესამე ლიგიდანაა

ამსტერდამის „აიაქსმა“ იყიდა ნორვეგიის ნაკრების თავდამსხმელი, 23 წლის ტომ ლინდი, რომელიც თავის სამშობლოში მხოლოდ III ლიგაში („ილსტრიომ აკ“) გამოდიოდა, მაგრამ საყოველთაო ყურადღება მიიპყრო მაღალი შედეგიანობით.

„აიაქსის“ ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ლინდს ძალუძს შეცვალოს ...კრუიფი! ეს ისეთი საკითხია, სადაც წინასწარ თეორიულ მსჯელობას დიდი ფასი არა აქვს. ყველაფერი მინდორზე უნდა დამტკიცდეს პრაქტიკულად.

დისკვალიფიკაცია... 25 წლით

ესპანელი მსაჯი გ. ნიკოლასი თავისი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის მიერ დაჯარიმებულია 180 ათასი პესეტით და დისკვალიფიცირებულია... 25 წლით. ასეთი მკაცრი სასჯელი ნიკოლასმა მიიღო მას შემდეგ, რაც დადასტურდა ერთი სამარცხვინო ფაქტი: მსაჯი ყოველგვარი საშუალებით ეხმარებოდა კლუბ „ორიჰუელას“ გადასულიყო II ლიგაში.

თხოვნა არ დააკმაყოფილა

✓

როგორც ჩვენი გაზეთის 30 ოქტომბრის ნომერში ვიუწყებოდით, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ მოითხოვა ჩილის ნაკრებთან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ჩილიში არ ჩატარებულიყო იქ შექმნილი სიტუაციის გამო.

26 ოქტომბერს ციურიხში მიღებული გადაწყვეტილებით ფიფა-მ არ დააკმაყოფილა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თხოვნა 21 ნოემბრის მატჩის სამხრეთ ამერიკის სხვა ქვეყანაში გადატანის თაობაზე.

(საქ. ინფ.).

„იმედის თასი“ — პოლიტექნიკურ ინსტიტუტს

თბილისში დამთავრდა „იმედის თასის“ გათამაშება რეგბიში. ეს ჯილდო „სპარტაკის“ რესპუბლიკურმა საბჭომ დააწესა. ოქტომბრის რევოლუციის 56-ე წლისთავისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში მონაწილეობდა დედაქალაქის 4 კოლექტივი — „სპარტაკი“, „განთიადი“, პოლიტექნიკური ინსტიტუტი და უნივერსიტეტი. უკონკურსოდ გამოდიოდნენ „სპარტაკისა“ და „ლოკომოტივის“ ჭაბუკ რეგბისტთა გუნდები.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის რეგბისტები. საინტერესო მატჩი პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის გამარჯვებით დამთავრდა — 16:9.

II ადგილი ხვდა უნივერსიტეტის გუნდს, რომლის წევრი — სპორტის ოსტატი დ. კილასონია ტურნირის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე იყო (25 ქულა).

უახლოეს დღეებში „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართება საქართველოს პირველობის დასკვნითი მატჩები, შემდეგ კი მოეწყობა თბილისის პირველობისა და თასის გათამაშებანი.

დ. თაქთაქიშვილი.

ზულელ ოსტატთა ნახელავი

მთელს მსოფლიოში განთქმულია სპორტული და სანადირო იარაღი, რომელსაც გდრ-ის საოლქო ცენტრ ზულში, ერნსტ ტელმანის სახელობის კომბინატში აკეთებენ. მსოფლიოსა და ევროპის ბევრმა ჩემპიონმა მოიპოვა წარმატება იმ ზუსტი და კოხტა შაშხანების წყალობით, რომლებზეც ამოტვიფრულია ქალაქის ძველი ემბლემა — იარაღის მჭედელი ოსტატის ფიგურა.

450 წელზე მეტია ტიურინგიის ტყეების მთის უსწრაფესი მდინარეები, ნახშირი და რკინის მადანი მჭედლების ხელოვნებას ემსახურებიან.

საბჭოთა არმიის მიერ ფაშიზმის განადგურების შემდეგ მოხდა ტიურინგიის კუსტარული სახელოსნოებისა და პატარა ქარხნების ნაციონალიზაცია. ძირეული რეკონსტრუქციის შემდეგ ეს საწარმოები გაერთიანდა კომბინატად, რომელიც სულ სხვადასხვაგვარ პროდუქციას უშვებს. მაგრამ ამ პროდუქციის 2 ძირითადი სახეობაა სპორტული სანადირო იარაღი და ორბორბლიანი ტრანსპორტი, პირველ ყოვლისა — მოტოციკლები და მოპედები.

ზულში გაკეთებული იარაღი 50 ქვეყანაში გააქვთ. ყველა მათგანზე ამოტვიფრულია ხარისხის ნიშანი.

1963 წლიდან ტიურინგიელ ოსტატებს ბევრჯერ მიუღიათ ოქროს ჯილდოები ლაიპციგის ბაზრობაში. გასული შემოდგომის ბაზრობაზე მათ უმაღლესი ღირსების მედალი მიიღეს ახალი სანადირო ორლულიანი თოფისთვის, რომელიც უკვე ჩაუშვეს სერიულ წარმოებაში.

— შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე შრომატევადი და რთულია თოფების გრავირება, განსაკუთრებით იმათი, რომელთაც სპეციალური დაკვეთებით ვაკეთებთ, — ამბობს კომბინატის მთავარი ტექნიკური კონტროლიორი ჰ.-გ. კოლი. — გრავიორმა 50000-ჯერ უნდა დაჰკრას ჩაქუჩი. დარტყმა ძლიერი, მაგრამ ფრთხილი უნდა იყოს, რათა სილამაზეს იარაღის მთავარი ღირსებები არ შეეწიროს.

ერთ-ერთმა ჩვენმა საუკეთესო ოსტატმა იოაჰიმ შაიმმა თავისი ოსტატობა ლაიპციგის ბაზრობაზე პირდაპირ კომბინატის სტენდების წინ უჩვენა დამთვალიერებლებს.

თავად ჰ.-გ. კოლიც უნიკალურ საქმეს აკეთებს: ცდის ერნსტ ტელმანის კომბინატის მიერ გამოშვებულ ყველა სანადირო თოფს და სპორტულ შაშხანას.

— მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებში ჩვენმა სპორტსმენებმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. ამ წარმატებებში ცოტაოდენი დამსახურება მეც მიმიძღვის, — ღიმილით ამბობს კოლი. — გდრ-ის ნაკრების ყველა იარაღი მე გამოვცადე.

ა. გრიგორიევი.

(საკდესის კორ.).

ბერლინი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ჩვენი ტელეფონები

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 380096, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 12909